ცნობის ფურცელი

№ 2446 ორშაბათი, 22 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2446

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-
ბით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში
ქანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

რედაქციისაგან

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 აპრილამდე უეჭველად გამოგზავნოს ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. დ. შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 88).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ბესარიონ ა. პოპოვი
სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. გრუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (გრუტ. № 26). (30—6.—5)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ჩუბინეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 21 მარტს, მოხდა საზოგადო **კრება ტფ. სამეურნეო ბანკის წევრთა.** კრებამ განიხილა და დაამტკიცა ბანკის მოქმედების ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა 1904 წლისათვის და სხვა მოხსენებანი. დასასრულ მოხდა არჩევნები გამგეობის ერთისა და საბჭოს ორის წევრისა; არჩეულ იქმნენ ისევ ძველები: გამგეობის წევრად თავ. ვ. ს. ბიქელაძე (46 თეთრი 12 შავი), საბჭოს წევრებად—ი. გ. თულაშვილი (44 თ. 14 შ.) და ი. ბ. საგინაშვილი (43 თ. 15 შ.). დაწვრილებითი ანგარიში ხვალ.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საგანგებო კრება

16 მარტი *)

დ. ნ. ბაქრაძეს საჭიროდ მიაჩნია შავი-ქვის მწარმოებელთაც მიიღონ მონაწილეობა უბედურ შემთხვევების დროს დაშავებულ მუშებას დაჯილდოვებაში. მაგრამ საკმაოდ სცნობს დაეკისროთ მათ მთელი ხარჯის არა მესამედი, არამედ მეხუთედი ნაწილი. ნ. გ. ჰაჰინაძე. 2 ივნისის კანონი იმითაა კარგი, რომ ძლიერ შეამოკლა ის შრომა, რომელიც დაშავებულ მუშას უნდა გაეწია სასამართლოს წესით ხვედრი ჯილდოს ძიების დროს. ძლიერ გამბედავი და ბეჯითი მუშა უნდა ყოფილიყო, რომ საქმე მოეგო. რადგან ეს ყველას არ შეეძლო, იძულებული ხდებოდა დავასათვის თავი დაენებებინა. ახლა ამბობენ, მუშების დასაქირავებელ გადასახადი მწარმოებელთ დაეკისროთო. ჩემის ფიქრით, ეს გარემოება მუშებს ისეთსავე მდგომარეობაში ჩააყენებს, როგორშიაც ამდენ ხანს იყვნენ. იმათ ძლიერ გაუჭირდებათ მწარმოებელთაგან ფულის აღება. გარდა ამისა, თუ მწარმოებელთ ეს ხარჯი დავკისროთ, ისინიც მუშებს ქირას შეუმცირებენ. ამით კი ის მოხდება, რომ მუშები იძულებულნი იქმნებიან მუშაობას თავი დაანებონ. ამგვარად უბედურ შემთხვევების რიცხვს კი არა, მუშების რიცხვს შევამცირებთ, რაც სასურველი არაა. ამიტომ საჭიროა, რომ მრეწველნი განვათავისუფლოთ ხსენებულ ხარჯისაგან და საბჭომ გადასდოს ამ საგნისათვის 30,000 მანეთი. გ. ზდანოვიჩი: თქმა არ უნდა, მუშისათვის უფრო ხელსაყრელია მარტო საბჭოსთან ჰქონდეს საქმე ფულის მიღების დროს, მაგრამ ამის შესახებ მოხსენებაშიაცაა ნათქვამი: მრეწველს შეაქვს ფული საბჭოში, რომელიც შემდეგ ამ ფულს მუშას აძლევს. იმის მტკიცება კი, მრეწველთ რომ ხარჯის ნაწილი დავაკისროთ, უბედურ შემთხვევათა რიცხვს არ შეამცირებსო, შეუძლებელია. თავმჯდომარემაც საჭიროდ სცნო უბედურ შემთხვევათა შესამცირებლად მრეწველთაც მიიღონ მონაწილეობა ხარჯში. სხდომა შეწყდა და განახლების შემდეგ უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ მრეწველთაც მიეღოთ მონაწილეობა ხსენებულს ხარჯში. ვერ შეთანხმდნენ მხოლოდ იმაში, თუ რამდენი ნაწილი დაეკისროს მრეწველთ გარდასახდელად. საბჭო და ზოგიერთი სხვაც საჭიროდ სთვლიდა, მთელი ხარჯის 1/3 დაეკისრებინათ მრეწველთათვის; ზოგი 1/5 ნაწილს ამბობდა; სხვები კი საკმაოდ სცნობდნენ 1/10 ნაწილის დაკისრებას. ბ-ნმა ზდანოვიჩმა ყველას შესათანხმებლად ამოარჩია საშუალო რიცხვი—1/4 ნაწილი. თავ. ი. გ. აბაშიძემ წინადადება მისცა კრებას, ეს საკითხი შევუკავშიროთ საფუთო გარდასახადის მომატების საკითხს და, იქნება, მაშინ შესაძლოდ ვსცნოთ, მრეწველნი სრულიად განვათავისუფლოთო. კრება ეხლაც ვერ შეთანხმდა და თავმჯდომარე იძულებული გახდა სხდომა რამდენისამე წამით შეეწყვიტა. სხდომის განახლების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ხარჯებში მონაწილეობა მიიღონ როგორც საბჭომ, ისე კერძო მრეწველებმაც. თხოულობენ, რომ მრეწველთ გარდახდეთ 1/10, ზოგი საჭიროდ სცნობს 1/5 ნაწილს.

რადგან კრების წევრები კიდევ ვერ შეთანხმდნენ, თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა საღამოს 7 საათისათვის გადაედვა კენჭის ყრით გადაწყვეტა საკითხი: მთელი ხარჯის 1/5 დაეკისრებინათ გარდასახდელად მრეწველთათვის, თუ 1/10. საღამოს კრება შეუდგა კენჭის ყრით გადაწყვეტას. კრებამ 36 ხმის უმეტესობით 24-ის წინააღმდეგ დაადგინა: გადადებულ იქმნას უბედურ შემთხვევების დროს დაშავებულ მუშებისა და იმათ ოჯახების დასაჯილდოვებლად 30,000 მანეთი, რომლის 9/10 უნდა იკისროს საბჭომ, ერთი მეათედი კი კერძო მწარმოებლებმა.

17 მარტი

დამტკიცებულ იქმნა წინა დღის სხდომის ოქმები. კენჭის ყრით იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა დროიდან უნდა ეძლიოთ დაშავებულთ ჯილდო, გადადებულ იქმნა შემდეგისათვის, რომ რამდენსამე საკითხს ერთად ეყაროს კენჭი. შეუდგნენ შავი-ქვის ტარიფის დაკლების საკითხის განხილვას. ამ საგნის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა კრებას გ. გ. ემერიკმა. მოხსენებიდანა სჩანს, რომ იმას შუამდგომლობა აღუძრავს სამინისტროს წინაშე ტარიფის დაკლების შესახებ, მაგრამ ჰასფელდის, ნარიშკინისა და ანდრონიკოვის ოინების წყალობით, რომელთაც ყოველი ღონისძიება უხმარნიათ ამ საქმის ჩასაფუშავად, შუამდგომლობა უყურადღებოდ დაუტოვებიათ. ხსენებული პირები ამტკიცებდნენ თურმე, ტარიფის დაკლება-კი არა, მომატებაა საჭიროო. დასასრულ, ბ-ნს ემერიკს თხოვნა მიურთმევია მის უმაღლესობისათვის ალექსანდრე მიხეილის ძისათვის, რომელიც ნავთ-სადგურების მთავარ სამმართველოს უფროსადაა. მას ყურადღებით მოუსმენია თხოვნა, მოუწონებია იგი და თავის მხრით თანაგრძნობა გამოუცხადებია, ასე რომ ბ-ნს ემერიკს დიდი იმედი აქვს, მისი უმაღლესობის წყალობით შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნებაო. ბ-ნ ემერიკის წინადადებით კრებამ დაადგინა, არჩეულ იქმნას დეპუტაცია, რომელმაც მადლობა უნდა გამოუცხადოს მის უმაღლესობას ალექსანდრე მიხეილის ძეს. ბ-ნ ემერიკისავე წინადადებით კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძეს, რომელსაც მისთვის დიდი დახმარება აღმოუჩენია სამინისტროში აღძრულ შუამდგომლობის დროს. სხდომა რამდენისამე წამით შესწყდა.

სხდომის განახლების შემდეგ, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ბ-ნი ტრიროგოვი ამტკიცებს, ტარიფის დაკლებას არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება მწარმოებელთათვისაო. „ამბობენ, ვითომ ჭიათურის შავი-ქვა მეტოქეობას ვერ უწევს ბრაზილიისა და ინდოეთის შავქვას იმის გამო, რომ რკინის გზებზე დიდი ტარიფია დაწესებული, და თუ ტარიფი შემცირდა, მაშინ ბევრი ქვა გაიზიდება საზღვარ-გარედ: შემცდარი აზრია; შავი-ქვის ფასები დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე, რომელიც ჩვენ პირდაპირ გვიკარნახებს ამ ფასებს. ჩვენ რომ ძლიერაც შევამციროთ ტარიფი, ამით საქმეს მაინც არ ეშველება, რადგან მაშინ მსოფლიო ბაზარზე ქვის ფასი დაეცემა და ჩვენ იგივე მოგება დაგვრჩება, რაც ეხლა გვრჩება. ჩემის აზრით, ტარიფის დაკლებას ისა სჯობია, რომ მადაროებიდან ქვის გადმოზიდვის საქმე რკინის გზამდის უფრო კარგად მოეწყოსო. ბ-ნი როვნიაკოვი (მთავარმართებლის წარმომადგენელი). არ შემიძლიან დავეთანხმო ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს, რომელიც სცდილობს დაგვიმტკიცოს, ტარიფის დაკლებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებაო. მე ვერც კი წარმომიდგენია, რომ ორი აზრი წარმოითქვას ამის შესახებ. ამბობენ, შავიქვის ფასი მხოლოდ ბაზარზეა დამოკიდებული, რომელიც ჩვენ ფასებს გვიკარნახებსო. რასაკვირველია, ასე იქნება ამ მდგომარეობაში; მაგრამ თუ ეხლანდელი მდგომარეობა შეიცვალა, მაშინ არც ეს იქნება. რა გვიშლის, რომ, პირიქით, ჩვენ ვუკარნახოთ მათ ფასები? როდესაც შავი-ქვის ტარიფი რვაჯერ მეტია სხვა მადნეულობის ტარიფზე, თქმა არ უნდა, ჩვენ საზღვარ-გარეთლებს მეტოქეობას ვერ გავუწევთ. მაგრამ, თუ ტარიფი შემცირდა, ისინი ვერ გაგვიწევენ ჩვენ მეტოქეობას. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ მარტო ტარიფის დაკლებაც არ კმარა: გარდა ამისა, საჭიროა მრეწველების შეერთება, შეკავშირება და ერთი ბიუროს დაარსება, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს შავი-ქვის საზღვარ-გარედ გატანა (კრებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი). თავ. პ. გ. წულუკიძე: ბიუროს დაარსების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა წარსულ კრებაზე, შუამდგომლობაც აღვძარით, მაგრამ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. ს. ი. წერეთელი: ჩვენ ეხლა ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ ტარიფის დაკლება საჭირო არაა; თუმცა ჩვენი შუამდგომლობა უყურადღებოდ იქმნა დატოვებული, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაჩეროს და უნდა განვაახლოთ შუამდგომლობა. ამისთვის საჭიროდ მიმაჩნია ამოვირჩიოთ კომისია, რომელმაც ყოველ მხრით უნდა შეიმუშაოს ეს საკითხი და შეადგინოს შუამდგომლობის პროექტი. კრებამ ერთხმად, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ბ-ნ ტრიროგოვის გარდა, დაადგინა, არჩეულ იქნას ოთხი წარმომადგენელი, რომელთაც უნდა შუამდგომლობა აღძრან ტარიფის დაკლების შესახებ. არჩეულ იქმნენ: ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელი თავ. ს. დ. წერეთელი, ფოთის ქალაქის მოურავის ნ. ი. ნიკოლაძე, გ. ფ. ზდანოვიჩი და გ. გ. ემერიკი.

გ. ფ. ზდანოვიჩი: სამხრეთ რუსეთის სამთომადნო მრეწველთა კრებაზე თანაგრძნობით მიღებულ იქმნა საკითხი ტარიფის დაკლების შესახებ და დაადგინეს, ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა შუამდგომლობას მხარი დაუჭირონ სამინისტროში. ამასთან, არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ შესდგა ერთი საგანგებო ამხანაგობა, რომელიც ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ ჩვენს შუამდგომლობას ტარიფის დაკლების შესახებ როგორმე ხელი შეუშალოს. მარტო პირადის ინტერესებით გამსჭვალულნი, ისინი სცდილობენ, რომ ამით თვითონ ისარგებლონ და საზოგადო საქმე კი დაღუპონ. ისინი უმტკიცებენ სამინისტროს, რომ საჭიროა ტარიფის მომატებაო. გარდა ამისა, არწმუნებენ, თუ ეგრეთ წოდებული „СПУСКЪ"-ები გაკეთდა ჭიათურაში, ყოველ ფუთზე 4 კაპეიკი მოგება დარჩებათ; მე ხელთა მაქვს ბ-ნ ჰასფელდის წერილი, რომელიც ამას ამტკიცებსო. თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს ბ-ნს ზდანოვიჩს, ამის შესახებ ლაპარაკი სრულიად მეტიაო. საზოგადოება ერთხმად თხოულობს, წაკითხულ იქმნეს ბ-ნ ჰასფელდის წერილი, რომ ნათლად დავინახოთ მისი ზნეობრივი ფიზიონომიაო. გ. ფ. ზდანოვიჩი (თავმჯდომარეს): თუ ამ საგანზე ლაპარაკი მეტად მიგაჩნიათ, მაშინ სრულიად მეტი ყოფილა ის, რაც ტარიფის დაკლების შესახებ ილაპარაკეს. მე ორჯერ გთხოვეთ სიტყვის თქმის ნება და ყურადღება არ მომაქციეთ, როდესაც სხვებს კი ნებას აძლევთ. თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა 5 წუთით.

სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვის ნება მისცა ბ-ნს ზდანოვიჩს, მაგრამ იმან უარი განაცხადა. სახელმწიფო ბანკის განყოფილების წარმომადგენელი ტარიფის დაკლების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის წინააღმდეგია: ტარიფის დაკლება რკინის გზის შემოსავალს შეამცირებს, ამიტომ ამ ომიანობის დროს სამინისტრო არ შეიწყნარებს შუამდგომლობასო. ბ-ნმა ემერიკმა ნათლად დაამტკიცა, შემოსავალი მხოლოდ ცოტა ხნით შემცირდება, შემდეგ კი ერთი ორად იმატებსო. თავმჯდომარემ: ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო ბანკის განყოფილების წარმომადგენელთა გარდა ყველამ საჭიროდ სცნო, რომ აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა ტარიფის დაკლების შესახებ.

დონ-ვალიანი

(შემდეგი იქნება)

◆

---

*) იხ. „ცნ. ფურც". № 2444.

რუსეთის ქრონიკა

◆ ჩიტაში აღმოუჩენიათ ყალბი ვერცხლის მანეთიანები, რომელნიც გაკეთებულია სპილენძისაგან, მხოლოდ გარშემო თხელი ვერცხლის კანი აქვს შემოვლებული გაზეთი „ზაბ.“ ამბობს, რომ ეს ყალბი ფული უსათუოდ იაპონელების გაკეთებული უნდა იყოს და უეჭველია ასეთი ფული ირკუტსკშიაც იქმნება გავრცელებულიო.

◆ გაზეთ „ს. ზაპ. კრ.“-ში დაბეჭდილია ვიტებსკის გუბერნატორის დადგენილება, რომლის ძალითაც 17 თებერვალს ნებადაურთველ კრებაზე დაჭერილთ გადაწყვეტილი აქვთ შემდეგი სასჯელი: სახლის პატრონს ვიდანსა და იმის ცოლს ხაიას $2^1/_2$ თვით დაპატიმრება, მეეზოვეს ა. ჩერნიავსკის, რომელმაც პოლიციას არ შეატყობინა კრების ამბავი,—ერთის თვით დაპატიმრება. კრებაში მონაწილეობის მიღებისათვის ხუთს $2^1/_2$ თვით დაპატიმრება, 35—თითო თვითა და 17 თხუთმეტ-თხუთმეტის დღითა. სულ დაპატიმრებულია 21 მამა კაცი და 38 ქალი.

◆ უფის ისპრავნიკს ბოქაულთათვის და კეტავ-ივანოვის ქარხნის ზედამხედველისათვის გაუგზავნია ბრძანება, რომელიც შეეხება საზოგადო წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვას. ბრძანებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „დაუყოვნებლივ და რაც შეიძლება ბლომად გაავრცელეთ ეს დადგენილება განსაკუთრებით ფაბრიკებსა და ქარხნებში და მიიღეთ ენერგიული ზომები ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად. ეცადეთ, აღმოფხვრათ ყოველგვარ იარაღის ტარება და მით ქარხნებსა და სოფლებში საზოგადო მშვიდობიანობისა და წესიერების დაცვა უზრუნველ ჰყავით („უფ. გ. ვ.“).

◆ ამურის ოლქის სამხედრო გუბერნატორის განკარგულების ძალით 19 თებერვლიდან ყველა სასწავლებლებში მეცადინეობა შეუჩერებიათ. („ნოვოსტ.“).

◆ დეპეშებიდან ვიცით, რომ 6 თებერვალს ბაიკალის სადგურის მახლობლად ლიანდაგს გადასცდა სამხედრო მატარებელი. როგორც გაზეთი „ვასტოჩ. ობოზრ.“ გვაუწყებს, მიზეზი ამისა თოვლის ზვავი ყოფილა, რომელიც შემთხვევით ჩამოწოლილა რკინის გზის ლიანდაგზე. სრულიად დამსხვრეულა 5 ვაგონი და დაზიანებულა 8 ვაგონი. იქვე მომკვდარა ერთი ჯარის-კაცი; დაშავებულა 4 ჯარის-კაცი მძიმედ და 15 მსუბუქად. მძიმედ დაშავებულა აგრეთვე ერთი კონდუქტორი.

◆ „სტეპნოი კრაი“-ში მოთავსებულია ომსკის დედათა გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს თავმჯდომარის შუმილოვსკის შემდეგი განცხადება: გაზეთ „სტეპნ. კრაი“-ს მე-14 ნომერში დაბეჭდილი იყო: „ქალაქში მეტად სასიამოვნო და სიმპატიური ხმა დადის, რომ ომსკის დედათა გიმნაზიის უმაღლეს კლასის მოწაფეებს აზრად აქვთ, კოლექტიური თხოვნა წარადგინონ, რომ ტომსკის უნივერსიტეტში ლექციების მოსმენის უფლება ქალებსაც მიენიჭოს“. მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ვაუწყო რედაქციასა და მკითხველთ, რომ ეს ხმები ყოვლად საფუძველს მოკლებულია. ეს ამბავი, მართალიც რომ იყოს, ყოველ შემთხვევაში სიმპატიურ და სასიამოვნო ამბათ არ ჩაითვლება, რადგან კოლექტიურ პეტიციების (თხოვნების) წერა აკრძალული აქვთ იმპერიაში სრულ უფლებიან მოქალაქეთაც კი,—მით უფრო ესეთი მოქმედება მოსწავლეთათვის ნაადრევია, როგორც მოძრაობა, რომელსაც შეუძლია პირდაპირ მათ მოვალეობის ასრულებას ხელი შეუშალოს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მარტი.

ტულა. რადგან „ვარიაგ“-ის უფროსი, კაპიტანი რუდნევი, რომელმაც თავი ისახელა იაპონიის ფლოტთან ბრძოლის დროს, ტულის გუბერნიის ვენევის მაზრის თავად-აზნაურობას ეკუთვნის, თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა, მიანდოს გუბერნიის წინამძღოლს გაუგზავნოს რუდნევს თავად-აზნაურთა მხრივ დეპეშა. თუ რუდნევმა ტულაზე გაიარა, დეპუტაცია უნდა მიეგებოს.

სევასტოპოლი. მე-2 რანგის კაპიტანი ბელიაევი და 19 ოფიცერი პორტ-საიდიდან წამოვიდნენ. —„ზაპოროჟეც“-ის უფროსი კონსტანტინეპოლიდან ატყობინებს ადმირალ სკრიდლოვს: „ვარიაგ“-ის ოფიცრისა და მეზღვაურთა პირველი ნაწილი „მალაიას“ გემით სტამბოლს მოვიდნენ 17 მარტს, ღამის პირველ საათზე. მე და სამხედრო-საზღვაო აგენტი შვანკი მივეგებენით გემს. კაპიტანმა სტეპანოვმა მოისმინა ჩვენი სალამი და მთხოვა გადმოგცეთ, რომ „ვარიაგ“-ის ოფიცრები და მეზღვაურნი დიდად გახარებულნი არიან პირველის სალამით და დიდ მადლობას უცხადებენ თქვენ აღმატებულებას და მთლად შავის ზღვის მეზღვაურთ და რომ იმათ ყოველთვის ახსოვთ თავიანთი საყვარელი ადმირალი, რომელიც დიდ ოკეანეს ფლოტს უფროსობდა. ამას გარდა სტეპანოვმა მთხოვა გაცნობოთ, რომ იმან კრეისერის საბრძოლველად მომზადების დროს მოგიგონათ თქვენ და ბოლომდის ხელმძღვანელობდა იმ დარიგებით, რომელიც თქვენგან ჰქონდა გაგონილი. გმირთა პატივის ცემის შემდეგ „ზაპოროჟეც“-ზე, „მალაია“ პირველ საათზე ადესას წავიდა. მეზღვაურნი „ურას“ ყვიროდნენ. „ურას“-ვე ყვიროდნენ საფრანგეთისა და ინგლისის სტაციონერებიც. „მალაია“-დანაც პასუხი გაგვცეს“.

ადესა. მეზღვაურ გმირების მოსვლისა გამო ხალხი ძლიერ აღფრთოვანებულია. ყველგან ალტაცებით ეგებებიან. ქალაქის გამგეობამ საუზმე გაუმართა. საუზმის შემდეგ მეზღვაურნი მუსიკითა და აუარებელ ხალხის თანხლებით გაემართნენ, ნავთსადგურისაკენ გემ „ნიკოლაი“-ზე, რომელიც 4 საათზე სევასტოპოლს გაემგზავრა. ადესამ ხანგრძლივის „ურა“-ს ყვირილით გააცილა მიმავალნი მეზღვაურნი.—კაპიტანმა სტეპანოვმა განაცხადა, რომ ამერიკის გემის „ვიკსბურგ“-ის უფროსს ჩემულპოში ყოფნის დროს მუდამ განკერძოებით ეჭირა თავი, არ უახლოვდებოდა სხვა სახელმწიფოთა გემების უფროსებს და არ მიუღია მონაწილეობა ბჭობასა და პროტესტის გამოცხადებაში, რადგან არავინ მიიწვია. ბრძოლის შემდეგ, როგორც სხვებმა, იმანაც გამოგზავნა ექიმი და ნავები ჩვენდა გადასარჩენად. „ვიკსბურგ“-ზე ჩვენ მეზღვაურთა მიღების შესახებ რუდნევს არ უთხოვნია, რადგან არ ვსაჭიროებდით. რამდენიმე მძიმედ დაჭრილი ჩემულპოსა და ჰონგკონგში დარჩნენ, სადაც იმათ ფრანგები უვლიან. ტყუილია ის ამბავი, ვითომ კორეიელები იჭერდნენ ზღვაში გადარჩენილთ და იაპონელებთან მიჰყავდათო. იაპონელებს არავინ ჩვენგანი ხელთ არ ჩაუგდიათ.

პეტერბურგი. 19 მარტს დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ გამართულ კონცერტს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალი, დიდი მთავრები და მთავრინები.

ტულა. ტულის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ დაადგინა, გადასდოს 100 ათასი მანეთი მის უდიდებულესობის განკარგულებაში და ეს ფული უქვეშევრდომილეს ადრესთან ერთად დეპუტაციით გაგზავნოს. ამასთანავე კრებამ გადასდო 25 ათასი მანეთი ღარიბ ოჯახთა დასახმარებლად.

ბერლინი (სპეციალური). სეულიდან იტყობინებიან, რომ კორეის იმპერატორი ტოკიოში გზავნის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფს დიდის ამალის თანხლებით; ამით სურს იაპონიის იმპერატორს სამაგიერო გადაუხადოს მარკიზ იტოს სეულში გამოგზავნისა გამო. კორეიის ელჩი მიკადოს ძვირფას საჩუქრებს მიართმევს.

ტოკიოდან მოსულ ცნობებით, 16 ჟურნალისტმა, უმეტეს ნაწილად ინგლისელებმა და ამერიკელებმა, ნებართვა მიიღეს ბრძოლის ველზე გაემგზავრონ; ისინი დასხეს იაპონიის სატრანსპორტო გემზე ქალაქ მოდჟიში.

21 მარტი

პეტერბურგი. 20 მარტს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

ლიაოიანი (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ბრძოლის ველზე მშვიდობიანობაა. ლიაოიანში სამაგალითო წესიერება სუფევს. გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი ჯარებსა და საავადმყოფოებს ათვალიერებს. რადგან რუსები დიდ ფასებს იძლევიან, ჩინეთის მცხოვრებნი—სოფლებისა და ქალაქებისა—ჯარს ყოველგვარ საჭირო საქონელს აძლევენ. მტკნარი სიცრუეა ინგლისურ გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები, ვითომ რუსები მანჯურიაში მცხოვრებლებზე ძალმომრეობას ხმარობდნენ და სურსათ-სანოვაგეს ძალად ათმობინებდნენ. ჩინელებიც კმაყოფილებით ყიდიან საკლავ საქონელსა და უთმობენ სახლებს რუსეთის ჯარებს. უთანხმოება და განხეთქილება არსად არ არის.

ინკოუში სდგას 11 სავაჭრო გემი, რომელნიც მოსულნი არიან ნამესტნიკის ბრძანებით საქონლის წასაღებად. ინკოუდან საქონლის წაღება ნებადართულია მხოლოდ სანეიტრალო ნავთ-სადგურებში და ისიც გირაოს გარანტიის ქვეშ, რომელიც უნდა უდრიდეს წაღებულ საქონლის ღირებულებას; გირაო შეტანილ უნდა იქმნას რუსეთ-ჩინეთის ბანკში, საიდანაც დაუბრუნდებათ სანეიტრალო ნავთ-სადგურში მისვლის შემდეგ.

ლიაოიანსა და სხვა ადგილებში მდგომი ჯარები ჯანმრთელად არიან, ყველანი მხნესა და მხიარულ გუნებაზეა. მოელიან გალაშქრებას. შემომწირველნი მშვენიერსა და სასარგებლო დროს გატარებას მოუპოვებენ ჯარის-კაცთ, თუ ჯარებში საკითხავ წიგნებს გამოგზავნიან.

სევასტოპოლი. 21 მარტს მოვიდნენ ჩემულპოს გმირები. მშვენიერი დარია.

გოდფრუას ცირკი დაიწვა.

პორტ-არტური (საკუთარ კორესპონდენტისაგან. პორტ-არტურის რაიონში ცვლილება არა მომხდარა რა.

19 მარტს სამხედრო პატივით დაასაფლავეს 14 მარტს ბრძოლაში მოკლული იაპონელი ბოცმანი.

„ნოვი კრაი“-ს რედაქციაში დიდ-ძალი შემოწირულება შემოდის ფლოტის გასაძლიერებლად, წითელის ჯვრისა და მოკლულ მეომართა ქვრივ ობლების დასახმარებლად. შემოწირულებაში თვალსაჩინო მონაწილეობას იღებენ ფლოტის დაბალი მოხელენი.

ნამესტნიკმა დაათვალიერა სანაპირო სიმაგრეები და ხმელეთის ფორტები, დაარიგა საჩუქრები, მადლობა მოახსენა ხელმწიფის სახელით გმირულ სამსახურისათვის და ციხის არტილერიას გადასცა ძველი ბრინჯაოს ჯვარი, გამოგზავნილი ქ-ნ ბურევაიას მიერ იმ ფორტზე დასადგმელად, რომელიც ყველაზე უფრო დაზიანებულია.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

21 მარტი

პორტ-არტური. ჰგონკონგში პრესა რუსეთის შესახებ ყოველდღე ტყუილებს ბეჭდავს, ქება-დიდებას ასხამს იაპონელებს ზღაპრულ გამარჯვებისათვის და აღელვებს საზოგადოებას რუსეთის წინააღმდეგ.

პორტ-არტურის მიდამოებში ქვა-ნახშირის მადანი აღმოაჩინეს, რომელიც თავის ღირსებით კარდიფის ქვა-ნახშირს უდრის.

ნამესტნიკმა ალექსეევმა დაათვალიერა პოზიციები და „ელექტრიჩესკი უტიოს“-ი; ყოველგან მშვიდობიანობაა.

ვლადივასტოკი. განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა; ჯანმრთელობა მეციხოვნე ჯარისა და მცხოვრებთა სამაგალითოა; მიღებულია სასანიტარო ზომები.

ჩინურ თეატრში წარმოდგენა გამართეს წითელ ჯვრის სასარგებლოდ.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 მარტი

მოსკოვი. მოვიდა გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი, რომელიც აქედან პეტერბურგს გაემგზავრება.

მესსინა. 20 მარტს იმპერატორი ვილჰელმი გემ „ჰოჰენცოლერნ“-ით ტაორმინას გაემგზავრა.

კონსტანტინეპოლი. დიპლომატთა წრეებში გადაწყვეტილად სთვლიან იმ საკითხს, რომელიც შეეხება მაკედონიის ჟანდარმერიაში უცხო სახელმწიფოთაგან სამსახურისათვის მოწვეულ ოფიცრებს და მათ შორის მაკედონიის ვილაეტების განაწილებას. რუსებს ჩააბარებენ სალონიკის ვილაეტის მართვა-გამგეობას. გენერალ ჯორჯის საცხოვრებლად ქალაქი სალონიკაა დანიშნული.

ბილბაო. სუმში უწესოებანი დაიწყო საკლესიო პროცესიის შეხვედრის დროს მოქალაქეთა შეტაკებისა გამო; ანარხისტებმა და რესპუბლიკელებმა მღვდლებსა და სკოლების შენობებს ქვები და რევოლვერები დაუშინეს; სცდილობდნენ ეკკლესიისათვის ცეცხლი გაეჩინათ; გაანადგურეს კათოლიკეთა სასადილო. დაჭრილია 10 კაცამდე, ამათ შორის ზოგიერთი მძიმედ.

ბერლინი (სპეციალური). ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩი დუმბა მალე ბელგრადს დაბრუნდება, რადგან მოთხოვნილება, რომელიც შეეხებოდა სასახლეში სამსახურიდან შეთქმულთა გაძევებას, უკვე დააკმაყოფილეს. ელჩის გამოცვლას არ ჰფიქრობენ. სერბიის მთავრობამ რომის კაბინეტისაგან ცნობა მიიღო, რომ იტალიის ელჩი ამ მოკლე დროში თავის თანამდებობას დაუბრუნდება.

21 მარტი

პეტერბურგი. სერბიის მეფესთან მყოფ საგანგებო ელჩს ჩარიკოვს ებრძანა გარეშე საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრად ყოფნა. პაპისთან მყოფ მინისტრ-რეზიდენტს გუბასტოვს ებრძანა სერბიის მეფესთან საგანგებო ელჩად ყოფნა.—შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელ-ახლად დართო ნება გაზეთ „კურიერ“-ის ნომრობით გაყიდვისა.

ამსტერდამი. გაზეთ „ტელეგრაფ“-ს კოტარაჯიდან (სუმატრა) ატყობინებენ: გზაში მიმავალმა ნიდერლანდიის რაზმმა აჩინის ოლქში აღმოაჩინა, რომ ყოველი სოფელი მაგარის სანგრებით ყოფილა გარს შემოვლებული. ჯარი თავს დაეცა მტერს და მოუკლა 541 კაცი. ჰოლანდიელებს მოუკლეს სამი და დაუჭრეს 25 კაცი. ამას გარდა მსუბუქად დაჭრილა 3 ოფიცერი.

მესსინა. იმპერატორი ვილჰელმი ტაორმინიდან ეტლით მივიდა ბერძნულ თეატრში და დაწვრილებით დაათვალიერა იგი. საღამოს იმპერატორი მესსინას დაბრუნდა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 მარტი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	$37,67^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$6-7^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	$93^1/_4$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2\%$ შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$91^3/_8$ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	369 „
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	307 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	269 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^1/_2\%$ ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^1/_2\%$ გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	180

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადა

განცხადებან

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

საათის საწყობი
იულიუს გენესი
ტფილისი, დვორცოვი ქუჩა.
მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლის
ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი
ხისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობში
რულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფ
და პირნათლად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზო-
მიერია.
პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უ
სყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—4)